ვამტკიცებ:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის

ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზიის რექტორი

_____ არქ. სტეფანე კორინთელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის სტრატეგიული გეგმა

2023 წელი

გიმნაზიის სტრატეგია

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული დაგეგმვის შერჩეული მეთოდოლოგიის - SWOT-ანალიზის, დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზიას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- სასწავლო პროცესის მართვა
- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსით.
- სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების უზრუნველყოფა.
- სკოლის ორგანიზაციული განვითარება
- მოსწავლეების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდა

გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის შერჩეული მეთოდოლოგია- SWOT-ანალიზი.

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1.	**სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი**	
	- ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი; - სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ესგ-ით გათვალისწინებული პროგრამების გარდა, მოიცავს ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგნების - საღვთო სჯულისა და მედავითნეობის სასწავლო პროგრამებს; - სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; - სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. - მცირერიცხოვანი კლასები; - მოსწავლეთა მიღწევები (მედალოსნები, გრანტიანი კურსდამთავრებულები, სხვადასხვა კონკურსებსა და პროგრამებში წარმატებული მოსწავლეები და ა. შ.);	- - მოძველებული საგნობრივი პროგრამები - დასახვეწი შეფასების კრიტერიუმები

	- აქტივობა არაფორმალური განათლების კუთხით	
2.	**ადამიანური რესურსი**	
	- კვალიფიციური, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი; - ძირითადად მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პროფესიულ	- რამდენიმე ნაკლებმოტივირებული პედაგოგი;

	განვითარებაზე ორიენტირებული პედ-კოლექტივი 30-დან 9 წამყვანი - პროფესიონალებით დაკომპლექტებული ადმინისტრაცია, ტექ-პერსონალი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.	
3.	**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**	
	- საკუთარი სასწავლო კომპლექსი; - დაცული ტერიტორია; - სასწავლო პროცესზე მორგებული სასწავლო კორპუსი (ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები); - უზარმაზარი ეზო; - აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; - სტანდარტული მინი-სტადიონი; - ტაძარი (გიმნაზიის ტერიტორიაზე); - სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას;	- სახელმწიფო ვაუჩერის ნაკლები რაოდენობა; - დახურული სპორტ-დარბაზის არქონა; - სააქტო დარბაზის არქონა. - სამკითხველოს არქონა - შედარებით მოძველებული ტექნიკა - მოძველებული ინვენტარი(დაფები), რესურსები(რუკები,სახელმძღვანელოები, ტაბულები); მწირი სპორტული ინვენტარი.

	- ჭკვიანი დაფა - სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარი და თვალსაჩინოებები (ინდივიდუალური მერხები, რუკები, ტაბულები, პლაკატები, სპორტული ინვენტარი); - საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; - ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით; - ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათ-ლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; - ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; ევაკუაციის გეგმა. - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დებულება.	
	შესაძლებლობები	**საფრთხეები**
	- ინვესტორების მოზიდვა;	- კონკურენცია რაიონში არსებული საჯარო სკოლებისგან

	- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორობა; - გიმნაზიის მეტი პოპულარიზაცია.	- ქალაქის სხვა სკოლების მოსწავლეებს ემსახურება სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ავტობუსი; - ქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეები სახელმწიფოსგან იღებენ უფასო სახელმძღვანელოებს, რისი საშუალებაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე გიმნაზიას ნაკლებად აქვს; - საჯარო სკოლის მოსწავლეები საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ, თუ მათი საბაზო საფეხურის ქულაა 10 დამრგვალების გარეშე, იღებენ საჩუქრად კომპიუტერს სახელმწიფოსგან.

- **ვინ არის ჩვენი სკოლის ძირითადი მომხმარებელი?**

ჩვენი სკოლის ძირითადი მომხმარებელი არის ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოება, ვისაც სურვილი აქვს შვილები აღზარდონ ქრისტიანული ღირებულებებით.

- **რა არის მათი საჭიროებები და რას ელიან სკოლის მიერ გაწეული მომსახურებიდან?**

ჩვენი მომხმარებელი გიმნაზიისგან ელის შვილების დაცულ, უსაფრთხო გარემოში ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდას; ხარისხიან სწავლებას; ზნეობრივად, ინტელექტუალურად განვითარებული შემწყნარებელი თაობის აღზრდას; მოძღვრის რეკომენდაციებს სწავლა-აღზრდის საკითხებში;

- **მშობლებისა და მოსწავლეების აზრით, რა არის სკოლის ძლიერი ან სუსტი მხარეები?**

მშობლებისა და მოსწავლეების აზრით გიმნაზიის ძლიერი მხარეა:

- ✓ ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი;
- ✓ მცირერიცხოვანი კლასები;

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ესგ-ით გათვალისწინებული პროგრამების გარდა, მოიცავს ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგნების - საღვთო სჯულისა და მედავითნეობის სასწავლო პროგრამებს;
- ✓ აქტივობა არაფორმალური განათლების კუთხით.

სუსტი მხარეა: დახურული სპორტდარბაზის არქონა, რაც წელიწადის ცივ დღეებში ხელს უშლის ხარისხიანი სპორტის გაკვეთილების ჩატარებას.

- **რა არის მომავალი სასწავლო წლისათვის (ფინანსური და აკადემიური შესაძლებლობის ფარგლებში) გიმნაზიის ყველაზე პრიორიტეტული საჭიროებები?**
  - ✓ მოძველებული ტექნიკის განახლება;
  - ✓ გიმნაზიის გარკვეული ინვენტარით გადახალისება (დაფები; საინფორმაციო დაფები; მაგნიტური დაფები და სხვა);
  - ✓ სასწავლო პროგრამების განახლება.

სტრატეგიული მიზნები:

- **სასწავლო პროცესის მართვა**
- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**
- **სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსით.**
- **სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების უზრუნველყოფა.**
- **სკოლის ორგანიზაციული განვითარება**
- **მოსწავლეების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდა**

სტრატეგიული მიზანი N1. სასწავლო პროცესის მართვა

იმისათვის რომ მიზანმიმართულად წარიმართოს სასწავლო პროცესი, საჭიროა დოკუმენტების კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავება, სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა, დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, შესრულების მონიტორინგი

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1.1. საჭიროების გათვალისიწინებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდების, შინაგანაწესის ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტების განახლება და შემუშავება;

1.2. სტრატეგიული გეგმის,სამოქმედო გეგმის, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. (სამუშაო ჯგუფის შექმნა, სამუსაო ჯგუფის აქტივობბი

1.3. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მონიტორინგის უზრუნველყოფა

1.4. სასკოლო კურიკულუმის შედგნა - განახლება;

1.5. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;

1.6. მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.

სტრატეგიული მიზანი N2 - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება უმნიშვნელოვანესი მიზანია ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, მოსწავლეს უნდა გადაეცეს არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ განუვითარდეს ანალიზის, შეფასების, შესაძლებლობების გამოყენების, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები. ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საგაკვეთილო აქტივობები, არამედ სწორად დაგეგმილი არაფორმალური განათლება და მასწავლებელთა პროფესიული ზრდა.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

2.1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილის- საგნობრივი კურიკულუმების დახვეწა-გაუმჯობესება;

2.2. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პროგრამი შედგენა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის;

2.3. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.

2.4. სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. (აქტივობა- ტრენინგები მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებული)

2.5. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის საქმიანობის უზრუნველყოფა-ხელშეწყობა;

2.6. მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა, შეფასების შედეგების გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2.7.სკოლაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა

2.8. ახალი სკოლის მოდელისა და კეთებით სწავლების დანერგვის ხელისშეწყობა

2.9. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი არაფორმალურ განათლების უზრუნველყოფა

2.10,ციფრული განვითარების ხელშეწყობა და ისტის გამოყენების უზრუნველყოფა

2.11. მოსწავლეებში ინტერნეტ სივრცისა და კომპიუტერული მეცნიერებების მნიშვნელობის გააზრებისა და მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

2.12. ყოველწლიური სასკოლო პროექტის შემუშავება-განხორციელება;

2.13.კლასგარეშე აქტივობების გამოყენება მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისთვის;

2.14. მოსწავლეების სკოლის გარეთ მიღწეული წარმატებების აღიარება

და პოპულარიზაცია;

სტრატეგიული მიზანი N3 სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსით.

სკოლაში უნდა შეიქმნას ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურა; მატერიალური რესურსის არსებობა, აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

3.1. საკლასო ოთახების და ლაბორატორიების (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული) სათანადო ინვენტარით და დამატებითი რესურსით აღჭურვა/განახლება.

3.2. ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი გარემოს მოწყობა, განახლება (სპორტული მოედანი; სარეკრეაციო ზონა;)

3.3. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფა: შენობის, სახურავის, კარ-ფანჯრების, სველი წერტილების რეაბილიტაცია.

3.4. სასკოლო კურიკულუმის შესაბამისი ბიბლიოთეკის, სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით, განახლება და განვითარება;

3.5. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის საჭირო რესურსების ყოველწრიულად შეძენა;

3.6. სასკოლო კურიკულუმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება.

სტრატეგიული მიზანი №4. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების უზრუნველყოფა.

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

4.1. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის უზრუნველყოფა-ხელშეწყობა

4.2.უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

4.3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმის უზრუნველყოფა ;

4.4.. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების უზრუნველყოფა;

4.5. წესრიგის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაერთხოების მექანიზმების უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი №5. სკოლის ორგანიზაციული განვითარება

სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გაზიარებული პასუხისმგებლობები, ობიექტური და მიუკერძოებელი მიდგომები,

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორობა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ იქნა შემდეგი ამოცანები:

5.1. თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება;

5.2. ადამიანური რესურსის სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება;

5.3. სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა სკოლის ინტერესების სასარგებლოდ;

5.4სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

5.5.სკოლის ცნობადობის გაზრდა;

5.6.. სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.

5.7. დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება.

სტრატეგიული მიზანი №6 მოსწავლეების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდა

გიმნაზიის უპირველესი მიზანია აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი მომავალი თაობა.

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები:

6.1. სასკოლო საათობრივ ბადეში რელიგიური საგნების (საღვთო სჯული, მედავითნეობა) გათვალისწინება;

6. 2. ქრისტიანული შინაარსის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;